



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

11 თებერვალი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საგრანტო პროგრამის განხორციელების მიზნით საგრანტო-საკონკურსო კომისიის შექმნის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 თებერვლის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საგრანტო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ №15 განკარგულების შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტის, სამოქალაქო განვითარების, ახალგაზრდულ საქმეთა, ტურიზმის, ეკონომიკური სფეროების, ტრადიციული სახალხო დღესასწაულების აღდგენისა და განვითარების მიზნით, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საგრანტო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით შეიქმნას საგრანტო-საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე – ალექო მამეშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) კომისიის წევრები:

ბ.ა) ლავრენტი ქვილორია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

ბ.ბ) ირინა საჯაია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ბ.გ) მარინა ჯაფარიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი;

ბ.დ) ლაშა თავაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი;

გ) საგრანტო პროგრამის განხორციელების მიზნით კომისიაში შეიძლება ასევე მოწვეულ იქნეს სხვა და სხვა დარგის სპეციალისტები, ექსპერტები.

2. საგრანტო-საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს:

- ა) საპროექტო განაცხადების მიღება-განხილვას;
 - ბ) საგრანტო კონკურსის გამოცხადებას;
 - გ) შემოსულ განაცხადებს კომისია განიხილავს ეტაპობრივად და ამზადებს დასკვნას პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობაზე;
 - დ) შემოსული საპროექტო განაცხადებიდან გამოავლინოს პროექტში გამარჯვებული;
 - ე) აღგენს საგრანტო პროგრამით დაფინანსების მოცულობას;
 - ვ) განიხილავს დაფინანსების მიმღები სუბიექტის მიერ წარდგენილ ანგარიშს განხორციელებული პროექტის შესახებ;
3. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ანხორციელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და კომპიუტერული მომსახურების განყოფილება.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი